

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

აღნიშნული კანონპროექტის მომზადება გამოწვეულია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებით.

##### ა.ბ.) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის თანახმად იპოთეკის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შემთხვევაში „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მარეგულირებელ ნორმაში სათანადო ცვლილების შეტანა.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

შემოთავაზებული ცვლილების შესაბამისად, თუ მოვალე გააჭიანურებს იმ მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რომლის უზრუნველსაყოფადაც დადგენილია იპოთეკა, იპოთეკის საგნის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც სასამართლოს აქტის, ისე ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, თუ ამის თაობაზე მხარეები წინასწარ შეთანხმდებიან.

ცვლილების თანახმად, იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაცია ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმებით, რომლებიც გამოიყენება როგორც სპეციალური ნორმები, თუმცა მხარეები უფლებამოსილნი არიან, იპოთეკის ხელშეკრულებით დაადგინონ იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის განსხვავებული წესი.

აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სასამართლოების განტვირთვას სადავო საქმეებისაგან, საკონტრაქტო ვალდებულებათა იძულებითი აღსრულების სწრაფი და ეფექტური სამართლებრივი მექანიზმების შექმნას, საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

**ბ.გ) ცვლილებების გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

**ბ.დ.) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება:**

მოქმედი კანონმდებლობით, იპოტეკით დატვირთული ნივთის რეალიზაცია დროში საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რასაც ესაჭიროება სასამართლოსადმი მიმართვა, ადვოკატის დაქირავება და დატვირთული ნივთის რეალიზაციის საკითხის გადაწყვეტამდე რამოდენიმე სასამართლო ინსტანციის გავლა. შესაბამისი სახელმწიფო ბაჟის გადახდითა და პროცესებზე გამოცხადების ხარჯებით. იმ პირთათვის, რომლებიც თავიანთ მოთხოვნებს მოვალეთა მიმართ დაიკმაყოფილებენ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რითაც თავიდან აიცილებენ სასამართლო ხარჯებს. კანონპროექტი გამოიწვევს დადებით ფინანსურ შედეგებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

**გ) ცვლილებების მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) ცვლილებების მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს, პირიქით, ხდება ევროსაბჭოსა და ევროკავშირის სამართლებრივ სივრცესთან ჰარმონიზება

**გ.ბ) ცვლილებების მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) ცვლილებების მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ვინაიდან საქართველოს ნოტარიუსთა პალატა უშუალოდ იღებდა მონაწილეობას პროექტის შემუშავების პროცესში, ასეთი სახის შეფასება არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.გ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.